საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
LEPL LABOUR INSPECTION OFFICE

LIO 7 23 00234166 02/03/2023

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურთან არსებული აკრედიტაციის კომისიის გადაწყვეტილება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტისათვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შესახებ

აკრედიტაციის კომისიის 2023 წლის 2 მარტის სხდომაზე ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტისათვის განაცხადებისა და აკრედიტაციის კომისიის სამდივნოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, იმავე მუხლის მეოთხე პუნქტისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

კომისიამ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს (ს/ნ: 204577582) 3 წლის ვადით მიენიჭოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსი სრული პროგრამის მიმართულებით, მისამართებზე: ქ. თბილისი, უზნაძის №68 და ქ.რუსთავი, შევჩენკოს 5.
2. აკრედიტაციის კომისიის 2023 წლის 2 მარტის №1 სხდომის ოქმი და ამავე ოქმის №3 დანართი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
3. დაევალოს აკრედიტაციის კომისიის სამდივნოს ამ გადაწყვეტილების დაინტერესებული პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა;
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

კომისიის თავმჯდომარე
თამილა ბარკალაია

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურთან არსებული
აკრედიტაციის კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი **02 მარტი 2023 წელი**

სხდომა დაიწყო 12:15 საათზე და ჩატარდა პლატფორმა Webex- ის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდნენ:

აკრედიტაციის კომისიის (შემდგომში - კომისია) და კომისიის სამდივნოს წევრები:

თამილა ბარკალაია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
ბექა ფერაძე სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარი შრომის ინსპექტორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
ლიკა კლიმიაშვილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, პოლიტიკის დეპარტამენტის, შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);
რაისა ლიპარტელიანი საქართველოს პროფესიული გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის წევრი);
ნათია ბუბუტეიშვილი სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი (კომისიის წევრი);
მაია მჭედლიშვილი სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი);
ქეთევან დარცმელია სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრის უფროსი (კომისიის წევრი/სხდომის მდივანი);

თამარ მგელაძე სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრის მთავარი სპეციალისტი (კომისიის სამდივნოს წევრი);
ლევან მადათოვი სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კონსულტანტი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის საკითხებში (კომისიის სამდივნოს წევრი).

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან დარცმელიამ აღნიშნა, რომ შრომის ინსპექციის სამსახურში შემოვიდა 3 მაძიებელი ორგანიზაციის 5 განაცხადი (ლოკაციისა და პროგრამების მიხედვით). აკრედიტაციის კომისიის სამდივნომ ფორმალური შესაბამისობის დადგენის ეტაპზე განიხილა ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა მათი შესაბამისობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის № 01-25/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესიდა და პირობების“ მოთხოვნებთან. საჭიროების შემთხვევაში მოხდა განაცხადების დახარვეზება და დამატებითი

დოკუმენტაციის გამოთხოვა. განხორციელდა ადგილზე ვიზიტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენის მიზნით. კომისიამ განიხილა სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსის მაძიებელთა აკრედიტაციის საკითხები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების" შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილებები:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/ნ: 204864548) 3 წლის ვადით მიენიჭა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსი სრული აკრედიტებული პროგრამის მიმართულებით, მისამართზე: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი № 1 (საფუძველი: დანართი №1)

2. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/ნ: 220407888) 3 წლის ვადით მიენიჭა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსი, როგორც სრული, ასევე დაბალი და საშუალო რისკის ობიექტების მიმართულებით, მისამართზე: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 (საფუძველი: დანართი №2)

3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს (ს/ნ: 204577582) 3 წლის ვადით მიენიჭა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსი სრული აკრედიტებული პროგრამის მიმართულებით, მისამართებზე: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68 და ქ. რუსთავი, შევჩენკოს №5 (საფუძველი: დანართი №3).

თამილა ბარკალაია
აკრედიტაციის კომისიის თავმჯდომარე

ბექა ფერაძე
აკრედიტაციის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ლიკა კლიმიაშვილი
აკრედიტაციის კომისიის წევრი

რაისა ლიპარტელიანი
აკრედიტაციის კომისიის წევრი

ნათია ბუბუტეიშვილი
აკრედიტაციის კომისიის წევრი

მაია მჭედლიშვილი
აკრედიტაციის კომისიის წევრი

ქეთევან დარცმელია
აკრედიტაციის კომისიის წევრი/სხდომის მდივანი

დანართი №3 ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტისათვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, დაედასტურებინათ რომ იცნობდნენ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ განაცხადებსა და თანდართულ დოკუმენტაციას, რაც კომისიის წევრებმა ერთხმად დაადასტურეს. კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის კომისიის სამდივნოს წარმოედგინა საკითხი. სამდივნოს წევრმა ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურში 2022 წლის 20 ოქტომბერს შემოვიდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის განაცხადი სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსის მოპოვების მიზნით. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილი იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სასწავლო კომპონენტზე აკრედიტაციის მოპოვება სრული აკრედიტებული პროგრამის მიმართულებით, მისამართებზე: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68 და ქ. რუსთავი, შევჩენკოს №5.

აკრედიტაციის კომისიის სამდივნომ შეისწავლა და დაადგინა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის № 01-25/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესითა და პირობებით" დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, ასევე მოახდინა ორგანიზაციის ადგილზე შემოწმება, სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსის მაძიებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სხვა გარემოებების შესწავლის მიზნით და შეადგინა შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის სტანდარტებისა და აუცილებელი მატერიალური რესურსის შემოწმების აქტები. სამდივნოს შეფასებით, ორგანიზაცია სრულად აკმაყოფილებს ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს ორივე მისამართზე.
კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტისათვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების" მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მეოთხე პუნქტისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს (ს/ნ: 204577582) 3 წლის ვადით მიენიჭა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსი სრული აკრედიტებული პროგრამის მიმართულებით, მისამართებზე: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68 და ქ. რუსთავი, შევჩენკოს №5.